შპს - „თენექსი“
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2025წ-2032წ
შემუშავებულია 2024 წელს

ჩვენს შესახებ

თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და თანმდევი სიახლეების გაზიარების, ცოდნის გადაცემა-განვითარებისთვის ჩვენი კომპანია 2023 წელს დაფუძნდა.

უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშეა - დასაქმების ადგილზე ციფრული ტექნოლოგიები ადამიანურ რესურსს ანაცვლებს. თუმცა, ერთი მხრივ, დამსაქმებლები ტექნოლოგიების ხარჯზე ეტაპობრივად ახდენენ კადრების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, მათ ესაჭიროებათ ახალი ცოდნისა და უნარების მქონე პირები. აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა, კადრების მომზადება-გადამზადებით, შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების განვითარებაში.

დღეს, თითქმის ყველა სფეროში - ჯანდაცვა, მენეჯმენტი, სამართალი, ინჟინერია, არქიტექტურა, მშენებლობა, მარკეტინგი და სხვა, ინტეგრირებულია და ყოველდღიურად ძლიერდება ტექნოლოგიების როლი. შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და წარმატებული კადრის არსებობის წინაპირობაა ცოდნის განახლება, პროფესიული განვითარება. ჩვენი კომპანიის როლი, რეგიონში პროფესიული და ზრდასრულთა განათლების, საუკეთესო პროგრამების ხელმისაწვდომობით გვესახება.

მისია

გლობალურ სამყაროში არსებული მოთხოვნების საპასუხოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, სწავლისა და პროფესიული განათლების პროგრამებით, თანამედროვე სასწავლო სივრცის შექმნა. ციფრული ტექნოლოგიების სხვა სფეროებთან ინტეგრირების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა.

ხედვა

ჩვენი ხედვით, კომპანია აჭარის რეგიონში ციფრული ტექნოლოგიების ჰაბის ადგილს დაიკავებს.

ჩვენ, კომპანიის მენეჯმენტში მაქსიმალურად დავნერგავთ ციფრულ ტექნოლოგიებსა და აღნიშნულის თაობაზე სხვებს გავუზიარებთ გამოცდილებას;
ჩვენ, მსოფლიოში ტექნოლოგიურ მიღწევებზე არსებულ უახლეს ინფორმაციას, ცოდნას გადავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს;
ჩვენ, ვაწარმოებთ ციფრულ პროდუქტებს პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა თუ კურსდამთავრებულების მონაწილეობით;
ჩვენი ხედვით, რეგიონებში დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის საუკეთესო გზა, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების პროგრამების მიწოდებით, შესაბამისი ცოდნისა და ინფორმაციის გაცემა-მიღებაა.

ღირებულებები

გუნდურობა - ორგანიზაციაში ურთიერთთანამშრომლობითი და გუნდური პრინციპით მუშაობა;
წვლილის შეტანა - ქვეყნის რეგიონ(ებ)ში კულტურულ-სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა;
პროფესიონალიზმი - ცოდნისა და ინფორმაციის მუდმივი განახლება და საჯაროდ გაზიარება.

მისიის მისაღწევად დასახული ზოგადი მიზნები

- საქართველოს რეგიონ(ებ)ში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შეთავაზება-განვითარება, როგორც პროფესიული განათლებით, ასევე მოკლევადიანი პროგრამებით;
- საერთაშორისო დონეზე, ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებში ინტეგრირების სიახლეების, საზოგადოებაში პოპულარიზაცია;
- ზრდასრულთათვის, ახალი ცოდნის მიღების ან/და არსებულის განვითარების მხარდაჭერა;
- საქართველოს რეგიონ(ებ)ში, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

სტრატეგიის შესახებ

სტრატეგია ორგანიზაციის განვითარების მთავარი კომპონენტია, რომელიც საფუძვლად უდევს პროცესების წინსვლასა და ბაზარზე მნიშვნელოვანი როლის დაკავებასა თუ შენარჩუნებას. ჩვენს გრძელვადიან (7 წლიან) სტრატეგიულ გეგმაში, ასახულია კომპანიის მისიიდან გამომდინარე არსებული ზოგადი მიზნები და მათი შესაბამისი ამოცანები. ამავე დროს, გაწერილია მიმდინარე მიზნები, რომელიც შესაძლოა ცვალებადი იყოს, ყოველი გრძელვადიანი გეგმის შემუშავება-განვითარებისას.

კომპანიის მიზნები მოიცავს არა მხოლოდ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის-განათლების წარმოება-განვითარებას, მენეჯმენტისა და ბაზარზე პოზიციის დაკავება-შენარჩუნებას, არამედ ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაში წვლილის შეტანას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ახალი დაფუძნებულია და მას არ გააჩნია გასული წლების გამოცდილება, მიზნები და ამოცანები ეფუძნება დღევანდელი ხედვის შვიდწლიან პერსპექტივას, თუმცა რამდენადაც სამყაროში ყველაფერი სწრაფცვალებადია, იმდენად შესაძლოა ერთი ან მეტი წლის გამოცდილების მიღების შემდეგ, წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის კორექტირება.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, მოიცავს ორგანიზაციის SWOT ანალიზს. სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებულია ერთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიზნების შესასრულებელ კონკრეტულ აქტივობებს, შედეგებს, ინდიკატორებს, მტკიცებულებებს და სხვა ინფორმაციას. ასევე, მასში შესაძლოა იხილოთ დამატებით, მიმდინარე ამოცანები.

ორგანიზაციის SWOT ანალიზი

ვინაიდან ჩვენი კომპანია ახალი დაფუძნებულია, ამ ეტაპისთვის არსებული ინფორმაცია შესაძლოა არ მოიცავდეს კომპონენტების მრავალმხრივ შეფასებას. შესაბამისად. კომპანია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და SWOT ანალიზს, საჭიროებისამებრ შეაქვს შესაბამისი შესწორებები/დამატებები.

კომპონენტები	**ძლიერი მხარეები**	**სუსტი მხარეები**
პროგრამა და ადამიანური რესურსი	●პროფესიულ სფეროში მაღალკვალიფიციური მასწავლებლები; ●სახელმწიფო სტანდარტზე, რომელიც მიმდინარე წელს განახლდა, დაფუძნებული პროგრამა.	● პროგრამების მცირე რაოდენობა; ● გაცვლითი პროგრამის არ არსებობა; ● მასწავლებლების პროფესიულ განათლებაში ჩართულობის მცირე გამოცდილება.
მენეჯმენტი და ადამიანური რესურსი	●ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების არსებობა.	● ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება.
ფინანსურ-მატერიალური რესურსი	●ახალგარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი ინფრასტრუქტურა; ●შენობა-ნაგებობის აჭარის რეგიონში ხელმისაწვდომი მდებარეობა.	● შეზღუდული ფინანსური რესურსი; ●ადგილზე არსებული ბიბლიოთეკის ფონდის სიმცირე.
ორგანიზაციული განვითარება	● აჭარის რეგიონში, ციფრული ტექნოლოგიების სფეროს განმავითარებელი ორგანიზაციების არ არსებობა - ბაზარზე არსებული მოთხოვნის სიჭარბე, მიწოდების ნაკლებობა.	●სხვა ქვეყნის მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის არ არსებობა; ●მენეჯმენტში არ არსებული მართვის ელექტრონული პლატფორმა; ●ახალი პოზიცია საგანმანათლებლო ბაზარზე; ●ახალი ბრენდის დაბალი ცნობადობა, განვითარების პირველ ეტაპზე; ●კურსდამთავრებულების არარსებობის გამო

		თვითშეფასების სრულყოფილი ბერკეტის ნაკლებობა.
კომპონენტები	**შესაძლებლობები**	**რისკები**
პროგრამა და ადამიანური რესურსი	●სხვადასხვა ტიპის პროგრამების შემუშავება (მომზადება, გადამზადება, არაფორმალური განათლების კურსები, ტრენინგები, სემინარები); ●არსებული პროგრამების განვითარება.	● კვალიფიციური მასწავლებლის/ლექტორის რეგიონში მოძიება; ● ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები.
მენეჯმენტი და ადამიანური რესურსი	●მენეჯმენტში ციფრული პროდუქტების ინტეგრირება; ●მენეჯმენტში ციფრული პროდუქტების დანერგვა-განვითრების პროცესში პერსონალის გაძლიერება, კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა.	● კადრების შენარჩუნება; ● ახალი კადრების მოზიდვის შესაძლებლობების ნაკლებობა.
ფინანსურ-მატერიალური რესურსი	● საგრანტო ან/და ადგილობრივ/ რეგიონულ საკონკურსო პროექტებში მონაწილეობა; ●ჩვენი კომპანიის სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებების პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სპონსორობა.	●სპონსორების მხრიდან შეზღუდული რესურსის გამოყოფა.
ორგანიზაციული განვითარება	● რეგიონის დონეზე ტექნოლოგიების სფეროში მთავარი ნიშა; ● რეგიონში ტექნოლოგიების სფეროს ირგვლივ მრავალმხრივი ცოდნის გაზიარება; ● სხვადასხვა სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პარტნიორობის დაწყება-განვითარება;	●რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის, კომპანიებისთვის არასაკმარისი ან/და არასათანადო ტექნოლოგიური საშუალებების ფლობა; ●კომპანიის მიერ ციფრული ტექნოლოგიების შესახებ საჯაროდ გავრცელებული ახალი ამბების, დაინტერესებულ პირთათვის, არახელმისაწვდომობა;

	● ციფრული ტექნოლოგიების შესახებ რეგიონში თემატური კვლევების ჩატარება; ● რეგიონის ბაზარზე ნიშის დაკავების შედეგად ახალ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დაწყება; ● სხვა რეგიონებში მობილური ცენტრის შექმნა პროფესიული ან ზრდასრულთა განათლების პროგრამების, ტრენინგების, სემინარების მიწოდებისთვის.	●რეგიონში ახალი პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობისთვის მათი შეზღუდული რესურსების/შესაძლებლობების არსებობა; ●სხვა რეგიონებში არასაკმარისი დაინტერესებული პირების არსებობა, რომლებიც მიიღებდნენ მობილური ცენტრის მიერ შეთავაზებულ მომსახურებას.

მიზნები და ამოცანები
2025წ-2032წ

მიზანი - 1 - საქართველოს რეგიონ(ებ)ში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შეთავაზება-განვითარება, როგორც პროფესიული განათლებით, ასევე მოკლევადიანი პროგრამებით	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 1.1 - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მოკლევადიანი პროგრამის /მოდულის/კურსის დანერგვა-განვითარება	2025წ.-2032წ.	ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და შემუშავებული პროგრამა/მოდული/ კურსი; ხორციელდება მათი შეფასება და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე ვითარდება
ამოცანა 1.2 - ელექტრონული სასწავლო რესურსის შექმნა და საჯაროდ ხელმისაწვდომობა	2025წ.-2032წ.	საჯაროდ, კომპანიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსები; პერიოდულად ხორციელდება მათი შეფასება,

		განახლება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა
ამოცანა 1.3 - საქართველოს რეგიონებში მობილური ცენტრების დანერგვა სხვადასხვა სახის პროგრამების შეთავაზებით	2028წ-2032წ	საქართველოს არანაკლებ სამ რეგიონში მობილური ცენტრის მოკლევადიანი პროგრამის/მოდულის/ სემინარის /ტრენინგის/კურსის განხორციელების პროცესში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა

მიზანი - 2 - საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებში ინტეგრირების სიახლეების საზოგადოებაში პოპულარიზაცია	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 2.1 - თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის/ციფრული ტექნოლოგიების მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავება და ინფორმაციის გავრცელება	2025წ.-2032წ.	კომპანიის სოციალურ პლატფორმებზე, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, განთავსებულია ინფორმაცია თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის მიღწევების შესახებ (სანდო წყაროს გამოყენებით)
ამოცანა 2.2 – "ციფრული ტექნოლოგია მსოფლიოსა და საქართველოში" - აღნიშნულ თემატიკაზე ინფორმაციის /კვლევის მოძიება-დამუშავება და დაინტერესებული პირების წინაშე წარდგენა	2026წ-2032წ	წელიწადში ერთხელ კომპანიის ორგანიზებით ჩატარებული საჯარო შეხვედრა / სემინარი/ ტრენინგი/ კონფერენცია თემაზე - "ციფრული ტექნოლოგია მსოფლიოსა და საქართველოში"

ამოცანა 2.3 - მენეჯმენტში ციფრული ტექნოლოგიების როლისა და შედეგების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა	2026წ-2027წ	კომპანიის პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე ციფრული ტექნოლოგიების შედეგების შესახებ დაინტერესებულ პირებთან სამუშაო შეხვედრის/სემინარის /ტრენინგის/კონფერენციის ჩატარება
ამოცანა 2.4 - ციფრული ტექნოლოგიების პროდუქტების შექმნა-პოპულარიზაცია კომპანიის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/ კურსდამთავრებულების მონაწილეობით	2027წ-2028წ	პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების/ კურსდამთავრებულების მონაწილეობით შექმნილი ციფრული პროდუქტი

მიზანი - 3 - ზრდასრულთათვის ახალი ცოდნის მიღების ან/და არსებულის განვითარების მხარდაჭერა	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 3.1 - ზრდასრულთათვის ტრანსფერული უნარების განმავითარებელი მასტერკლასების ჩატარება	2026წ-2032წ	წელიწადში არანაკლებ ორჯერ განხორციელებული სხვადასხვა სახის მასტერკლასი, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპანიის სივრცის მიღმა მყოფი დაინტერესებული პირები
ამოცანა 3.2 - პარტნიორი ორგანიზაციების პერსონალისთვის განმავითარებელი ღონისძიების ჩატარება	2027წ-2032წ	წელიწადში ერთხელ, კომპანიის პარტნიორი ორგანიზაციის პერსონალისთვის განხორციელებული ტრენინგი/სემინარი/სამუშაო შეხვედრა/კონფერენცია

მიზანი - 4 - საქართველოს რეგიონ(ებ)ში საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 4.1-კომპანიის პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მონაწილეობით რეგიონში სოციალურ-კულტურული, გარემოსდაცვითი აქტივობის განხორციელება	2025წ-2032წ	წელიწადში, თითოეულ თემაზე, არანაკლებ ერთხელ განხორციელებული გარემოსადაცვითი, სოციალურ-კულტურული აქტივობა
მიზანი - 5 - საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 5.1 - უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან პარტნიორობა და თანამშრომლობის განვითარება	2027წ.-2032წ.	გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, არანაკლებ ორ უცხო ქვეყნის ორგანიზაციასთან, რომლის შედეგად გაძლიერდა კომპანიის ადამიანური ან/და პროგრამული რესურსი
ამოცანა 5.2 - საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობაში კომპანიის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/ პერსონალისთვის/ კურსდამთავრებულისთვის მონაწილეობის მექანიზმების დანერგვა-განვითარება	2027წ.-2032წ.	შემუშავებული და დანერგილია მექანიზმები, რომელსაც მოაქვს ბენეფიტი კომპანიის პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის / პერსონალისთვის/ კურსდამთავრებულისთვის
მიზანი - 6 – ორგანიზაციული განვითარება	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 6.1 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება	2025წ.-2032წ.	კომპანიაში განხორციელებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და გეგმა "დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" (PDCA) პროცესით

ამოცანა 6.2 - პერსონალის განვითარება	2025წ.-2032წ.	კომპანიაში, დადგენილი მეთოდოლოგიით, განხორციელებულია პერსონალის განვითარების გეგმა
ამოცანა 6.3 - კომპანიის მენეჯმენტში ციფრული ტექნოლოგიის/აპლიკაციის კომპონენტის დანერგვა-განვითარება	2025წ-2032წ	კომპანიის მართვით სფეროში დანერგილია და პერიოდულად გაუმჯობესებული ციფრული პროდუქტის გამოყენების პრაქტიკა
ამოცანა 6.4 - დასაქმებისა და კარიერული ზრდის მხარდაჭერის მიზნებისთვის პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობის განვითარება	2026წ-2032წ	პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით ყოველწლიურად განხორციელებული დასაქმებისა და კარიერული მხარდაჭერის ღონისძიება

პროექტის წარდგენის თარიღი: 2024 წლის მაისი
დამტკიცების თარიღი: 2024 წლის 14 ივნისი
ხელმოწერა:

Nitsa Mdivani 01024076076
Digitally signed by Nitsa Mdivani
Date: 2024.06.14 11:43:16